პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი (№72 11378) | შაბათი, 28 მარტი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

დამთავრდა სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობა

კრემლის დიდ სასახლეში პროფკავშირთა XII ყრილობის 27 მარტის დილის სხდომამ ერთხმად მიიღო სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა შეცვლილი წესდება.

ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — საკავშირო პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნებზე.

საღამოს 5 საათზე გაიმართა ყრილობის საბოლოო სხდომა. დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იბნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, შ. რ. კოზლოვს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. შურაცევას, პ. ნ. პოსპელოვს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ს. კოლიანსკის, რომელნიც მთავრობის ლოჟებში გამოჩნდნენ.

სხდომაზე გამოცხადდა პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგები. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო არჩეულია 197 წევრისა და 69 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისია არჩეულია 37 კაცის რაოდენობით.

თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. გრიშინი აცხადებს, რომ შემოსულია წინადადება გაეგზავნოს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ წინადადებას დამსწრენი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დელეგატები ერთსულოვნად იწონებენ მისალმების ტექსტს, რომელიც [illegible] კითხა ამხ. ვ. ი. პროხოროვმა. კრემლის დიდ სასახლეში დიდ ხანს არ ცხრება მჭუხარე ოვაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მძლავრი და ურღვევი ერთიანობის, დიადი საბჭოთა სამშობლოს პატივსაცემად, დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი და მშვენიერი საზოგადოების — კომუნიზმის პატივსაცემად.

ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა. ამხ. ვ. ვ. გრიშინი სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობას დახურულად აცხადებს.

დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საქდესი).

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის შეკრება. სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ვ. პ. მჟავანაძე**, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **მ. დ. ჩუბინიძე** და საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე** შეკრების მონაწილეებთან — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებთან, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობა 53 მილიონი მუშისა და მოსამსახურის სახელით მგზნებარე, გულითად სალამს უთვლის საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის სასიხარულო დღეებში, მშრომელთა ფართო მასების იმ უდიდესი ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი ენერგიის დღეებში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ყრილობის დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობისადმი. მილიონობით მშრომელთა სახელით ყრილობა დიდ მადლობას უძღვნის პარტიას საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის, იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც პარტია ყოველდღე უთმობს პროფესიულ კავშირებს.

ყრილობის დელეგატები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გამოთქვამენ სიხარულისა და სიამაყის მხურვალე გრძნობებს კომუნისტთა პარტიისათვის — ჩვენი სახელოვანი გმირი პარტიისათვის, თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის, დიდი წარმატებებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც შევიდა კაპიტალიზმთან მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

წარსულში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა ამჟამად გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ; სამრეწველო წარმოების მოცულობით მას ახლა პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. შესანიშნავი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, უმაგალითოდ აყვავდა მეცნიერება და კულტურა.

ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალისტური საზოგადოება. პარტიისა და ხალხის ნებით განხორციელებულია გრანდიოზული გარდაქმნები ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში. ახლა ჩვენი უშუალო პრაქტიკული ამოცანაა კომუნისტური საზოგადოების აშენება.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა, ყველა მშრომელთა სანუკვარი სურვილებისა და მისწრაფებების გამოხატულებაა. მუშათა კლასს, ყველა საბჭოთა ადამიანს ეს პროგრამა მიაჩნიათ თავიანთ საკუთარ საქმედ, თავიანთ საბრძოლო ამოცანად, რომლის გადაჭრისათვის ისინი იხმარენ მთელ თავიანთ გამოცდილებას, თავიანთ ცოდნასა და ძალებს.

პროფკავშირთა XII ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა პროფკავშირული ორგანიზაციების იმ კონკრეტული ამოცანების განხილვის ნიშნით, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. ყრილობამ ცხადყო საბჭოთა პროფკავშირების მონოლითურობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ რა სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა პროფკავშირები გამოთქვამენ ურყევ მისწრაფებას პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლისადმი.

ყრილობამ საქმიან ვითარებაში შეაჯამა საანგარიშო პერიოდში პროფკავშირთა მუშაობის შედეგები. პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნამ, რაც განხორციელდა პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1957 წ.) პლენუმის მითითებათა შესაბამისად, ხელი შეუწყო მათი როლის გადიდებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. პროფკავშირებმა უფრო ღრმად დაიწყეს წარმოების საკითხებზე მუშაობა, უფრო ენერგიულად გააჩაღეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ აბამენ მასებს წარმოების მართვაში, უკეთ გამოიჩინეს თავი როგორც აღმზრდელობითმა ორგანიზაციამ.

ამასთან, XII ყრილობამ აღნიშნა პროფკავშირების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და შეიმუშავა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მთელი პროფკავშირული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი, განსაზღვრა ამოცანები სკკპ ისტორიული XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში პროფკავშირებს თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ ფართო მასების მობილიზაცია შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, ისინი დაუცხრომლად განავითარებენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის აქტივობას, წარმართავენ მათს მეცადინეობას თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის საბრძოლველად, უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა, ნოვატორთა, გამომგონებელთა, წარმოების მოწინავეთა შესანიშნავ მოძრაობას, გაავრცელებენ მათს გამოცდილებას.

პროფკავშირები იბრძოლებენ იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ საზოგადოებრიობის კონტროლი წარმოებაში შრომის დაცვისადმი, საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, საცხოვრებელი ფართობის განაწილებისადმი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი, მშრომელთა სამედიცინო და კომუნალური მომსახურებისადმი.

პროფკავშირთა XII ყრილობამ დასახა მუშათა და მოსამსახურეთა აღზრდისათვის წარმოებული მთელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მათი შეგნებულობისა და აქტივობის გადიდების ღონისძიებანი, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების განუხრელი დაცვის სულისკვეთებით.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგული საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც გაფართოებენ და განამტკიცებენ თავიანთ ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირულ და მუშათა ორგანიზაციებთან მუშათა კლასის ერთიანობისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო სოლიდარობისათვის ბრძოლაში.

პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ მუშათა და მოსამსახურეთა მრავალმილიონიან მასებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტია მიაჩნიათ ჩვენი დიადი შემოქმედებითი ეპოქის გონებად, ღირსებად და სინდისად, ურყევ ბელადად, საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად. საბჭოთა პროფკავშირების ყველა წარმატება შესაძლებელი გახდა მხოლოდ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი აღსავსენი არიან დიდი მადლობის გრძნობით კომუნისტური პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით, ჩვენი სამშობლოს განვითარებისა და განმტკიცების ლენინური გენერალური ხაზის თანმიმდევრულად განხორციელებისათვის ბრძოლაში დაუშრეტელი რევოლუციური ენერგიის გამო, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ყოველდღიური ზრუნვის გამო, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის გამო.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობა პირობას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფესიული კავშირები მუდამ მტკიცედ განახორციელებენ პარტიის ხაზს, კვლავაც იქნებიან პარტიის საიმედო დასაყრდენი კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, ღირსეულად შეასრულებენ მშრომელთა ფართო მასების ორგანიზატორთა და აღმზრდელთა თავიანთ მოვალეობას, კომუნიზმის ლენინური სკოლის თავიანთ მაღალ როლს.

ყრილობა საქვეყნოდ აძლევს პირობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა პროფკავშირები წმიდად დაიცავენ ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, თავიანთი ბელადისა და ხელმძღვანელისადმი, ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და შთამაგონებელ ძალას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მძლავრ და ურღვევ ერთიანობას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს — მშვიდობის, ბედნიერების, შრომისა და თავისუფლების ბურჯს!

გაუმარჯოს კომუნიზმს, დედამიწაზე ყველაზე სამართლიან და მშვენიერ საზოგადოებას!

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა.

გეგმების შესრულება

დმანისი კოლმეურნეობებმა 25 მარტისთვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმა: ხორცისა — 104,4 პროცენტით, რძისა — 128,8 პროცენტით, კვერცხისა — 120 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

* * *

ზუგდიდი მშრომელებმა 20 მარტისთვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმა: ხორცისა — 131,2 პროცენტით, რძისა — 104,9 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

რაიონის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულონ პირველი ოქტომბრისათვის.

* * *

ახალციხე კოლმეურნეობებმა 25 მარტისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 131,6 პროცენტით, რძისა — 101,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,2 პროცენტით.

* * *

საჩხერე მშრომელებმა 25 მარტისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 240 პროცენტით, რძისა — 423 პროცენტით, კვერცხისა — 109 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

* * *

ზესტაფონი მშრომელებმა 25 მარტისათვის გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 164,1 პროცენტით, რძისა — 139,9 პროცენტით, კვერცხისა — 100,5 პროცენტით.

* * *

ონი კოლმეურნეობებმა ვადამდე, 20 მარტს შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმა: ხორცისა — 113 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით.

(საქდესი).

დავრაზმოთ ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის საბრძოლველად

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე

დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა. არ არის რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ კომკავშირელები, ჩვენი გამრჯე ჭაბუკები და ქალიშვილები. მათ შეხვდებით ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ვენახებსა და ხეხილის ბაღებში, სიმინდის ყანებსა და მეცხოველეობის ფერმებში, ყველგან, სადაც კი წყდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა მეხუთე რესპუბლიკური შეკრებაზე. წარჩინებული მემინდვრეები და მებაღეები, მეჩაიეები და მევენახეები, მეცხოველეები და მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და კომკავშირული მუშაკები შეიკრიბნენ გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. ბევრს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი, სსრ კავშირის ორდენები და მედლები, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მედლები.

შეკრების პრეზიდიუმში არიან **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, მ. ი. კუჭავა, ი. გ. რთველიაშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შ. ი. ჭანუყვაძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები **ე. ა. შევარდნაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, თ. გ. ბადურაშვილი, მ. დ. მგელაძე,** პარტიული და კომკავშირული მუშაკები, ბრიგადირები და მერგოლურები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, საკოლმეურნეო შრომის ნოვატორები.

ტაშის გრიალში არჩეულ იქნა შეკრების საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

მოხსენება „1958 წლის შედეგები და ახალგაზრდობის ამოცანები სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში შვიდწლედის პირველ წელს“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

— უკანასკნელ წლებში, — თქვა მომხსენებელმა, — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა კოლმეურნე გლეხობამ, დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ეს წარმატებანი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო გასულ წელს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში.

სასიხარულო და საამაყოა იმის შეგნება, რომ ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობამ. თუ რამდენმე წლის წინათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იშვიათად შეხვდებოდით ახალგაზრდებს, ახლა ისინი იქ ერთ-ერთ წამყვან და გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ. საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში ახლა მუშაობს 130 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა. ოთხი ათასი მათგანი დაწინაურებულია ბრიგადირად, მერგოლურად, მეცხოველეობის ფერმის გამგედ, ხოლო ორი ათასზე მეტი არჩეულია კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების წევრებად.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ახალგაზრდობის მონაწილეობაზე მეჩაიეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მკვეთრი აღმავლობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. გასულ წელს ახალგაზრდობის ძალებით მოიკრიფა 90 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გაშენდა ასობით ჰექტარი ახალი ვენახი და ხეხილის ბაღი, ჩადებულ იქნა მილიონ ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი სილოსი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისთვის, მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის იბრძოდა ხუთი ათასი კომკავშირული ბრიგადა და რგოლი, 400-ზე მეტი კომკავშირული ფერმა.

— დიდი, სერიოზული, ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მუშაკთა წინაშე 1959 წელს, პირველი შვიდწლედის პირველ წელს, — თქვა დასასრულს მომხსენებელმა. — შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი იქნებიან სოფლის მეურნეობის ახალი, მძლავრი განვითარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ამხ. შევარდნაძემ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით გარდამავალი წითელი დროშები გადასცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს: ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეობის რგოლის ხელმძღვანელს **მ. ქანდარიას,** მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს **გ. კორძაძეს,** გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელს, **მ. არუსტაშვილს,** გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მეხილეობის რგოლის ხელმძღვანელს **მ. რჩეულიშვილს,** მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეს **ა. ლაშაურს,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის მეღორეობის ფერმის გამგეს **ზ. ჩიტოშვილს,** ადიგენის რაიონის სარემონტო-ტექნიკური სადგურის ბრიგადირს **მ. დემეტრაძეს,** დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირს **ვ. ნაზღაიძეს,** ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის რგოლის მერგოლურს **ს. ლაკვეხელიანს** და სხვებს.

შეკრებაზე გამოვიდნენ კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. გვარამია,** საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ე. გედეხაური,** ბათუმის რაიონის სოფელ ურეკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **ჟ. ვარშანიძე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შ. ჭანუყვაძე,** კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ნ. ზადიშვილი,** კომკავშირის თელავის, ზუგდიდის, ასპინძის რაიკომების მდივნები **მ. მეზვრიშვილი, ვ. კვარაცხელია, ნ. გავაშელი,** ლაგოდეხის რაიონის სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ა. გრიგორიანი** და სხვები.

ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკთა სახელით შეკრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა ახალგაზრდა პოეტი **ჯ. ჩარკვიანი.**

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ,** რომელსაც შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მიღებულ იქნა მიმართვა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მუშაკებისადმი, რომელშიც შეკრების მონაწილენი მოუწოდებენ რესპუბლიკის სოფლის რაიონების ახალგაზრდობას ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა პირნათლად განხორციელებისათვის.

შეკრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც ისინი რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდის სახელით პირობას იძლევიან, რომ იქნებიან პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XII ყრილობა

25 მარტის საღამოს სხდომაზე გამოვიდა ყირგიზეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. სადიგალიევი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ დამტკიცებული შვიდწლიანი გეგმა, განაცხადა მან, დიდ შესაძლებლობას უქმნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურის შემდგომ განვითარებას. ყირგიზეთის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ ახლა ყველაზე მეტად საჭიროა ამაღლდეს ორგანიზატორული მუშაობის დონე შვიდწლედის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში. ორატორი აღნიშნავს, რომ თუმცა საკავშირო პროფსაბჭომ უკანასკნელ დროს გააუმჯობესა ხელმძღვანელობა, მაგრამ რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფრო ქმედითი დახმარება ესჭიროებათ.

კონკრეტულ გეგმებზე, რომლებიც კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, ილაპარაკა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ს. პ. პავლოვმა.

...უზარმაზარ დარბაზში გაისმის ბავშვთა მხიარული ხმები. ყრილობის მისასალმებლად მოვიდნენ პიონერები და ოქტომბრელები — დედაქალაქის მუშათა და მოსამსახურეთა შვილები. ნორჩ მოსკოველთა გალეკსილ მისალმებაში ლაპარაკობა მათს სწავლასა და ცხოვრებაზე, მხურვალე სურვილზე იყვნენ სამშობლოსათვის სასარგებლონი. შეკრებილთა ტაში გრიალში ბავშვები პრეზიდიუმის წევრებსა და ყრილობის უცხოელ სტუმრებს გადასცემენ ყვავილთა თაიგულებს, პიონერულ ჰალსტუხებს უკეთებენ მათ.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ამხ. ნ. ა. მიხაილოვმა ყრილობის დელეგატებს უამბო კულტურის განვითარებაზე 1959-1965 წლებში. მან განაცხადა, კერძოდ, რომ შვიდწლედში დასახული გამოშვებულ იქნას 1.161 სრულმეტრაჟიანი და 4.600 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმები, კინოდანადგართა რიცხვი აყვანილ იქნება 118-120 ათასამდე, გადაწყვეტილია ქალაქებში აშენდეს 1.200 კინოთეატრი.

სომხეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. რ. აივაზიანმა ხაზგასმით აღნიშნა თვალსაჩინო როლი, რომელიც უნდა შეასრულონ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა;

ამხ. აივაზიანმა პირობა მისცა ყრილობას, რომ საბჭოთა სომხეთის პროფკავშირები მშრომელთა ფართო მასებს დარაზმავენ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ამხ. ნგუენ დიუ ტინმა. მან წაიკითხა ვიეტნამის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კომიტეტის ღიმსკომის მისასალმებელი წერილი, რომელიც პროფკავშირთა XII ყრილობას გამოეგზავნა.

ტრიბუნაზეა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბალდინიამი. იგი ამბობს, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულება დიდ დახმარებას გაუწევს ხალხებს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

იუგოსლავიის მშრომელთა სახელით ყრილობას მიესალმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიკი შპილიაკი.

არაბთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის მდივანმა ამხ. მოჰამედ ელ ო' კეილიმ განაცხადა, რომ პროფკავშირთა XII ყრილობაზე უცხოეთის დელეგაციების დასწრება ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთობის გაუმჯობესებას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ტაჯიკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. დ. ისკანდაროვმა, ხაბაროვსკის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ვ. მალცევმა, კარელიის ასსრ პრეზიდიუმის სატყეო მრეწველობის მეურნეობის ტყის უფროსმა ოსტატმა ამხ. პ. ხ. გავრილოვმა.

* * *

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობა. დელეგატები დიდი აქტიურობით განიხილავენ მოხსენებებს საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის და სსრ კავშირის პროფკავშირთა ამოცანების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათან დაკავშირებით და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

26 მარტის დღის სხდომაზე თურქმენეთის კომპარტიის ტაშაუზის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. დ. ავეზკლიჩევმა ილაპარაკა რესპუბლიკის მშრომელთა მიერ - იმ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაზე, რომლებიც ნაკისრია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად. შესრულებულია ჩვენი ერთერთი მთავარი ვალდებულება, — განაცხადა მან, — დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი ყარა-ყუმის საირიგაციო არხის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები; არხის სიგრძე 400 კილომეტრზე მეტია. ამუ-დარიის წყალმა გადაჭრა უდაბნო და მივიდა მურღაბის ველში. ამ შვიდწლედში აშენდება არხის მეორე რიგი.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში ნოვოსიბირსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ტ. ზაბალუევმა.

სტალინგრადის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კ. ს. ნეკრასოვი ამბობს, რომ ოლქის პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს. საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებენ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დახერგვას, საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

ლაპარაკობს რა პროფკავშირთა სულ უფრო მზარდ აღმზრდელობით ფუნქციებზე, ამხ. ნეკრასოვი სურვილს გამოთქვამს, რომ საკავშირო პროფსაბჭო და პროფკავშირთა გამომცემლობა უფრო მეტად განაზოგადებდნენ და პროპაგანდას უწევდნენ ამ დარგში შეძენილ გამოცდილებას. იმ უდიდესი ამოცანების მიხედვით, რომლებიც პარტიამ პროფკავშირთა წინაშე დასახა, ამბობს იგი, საკავშირო პროფსაბჭოს უნდა ჰქონდეს მეცნიერული ცენტრი, რომელიც იმუშავებდა პროფკავშირთა საქმიანობის გამოცდილების განზოგადებასა და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა პროფკავშირების როლის საკითხის თეორიულ დამუშავებაზე.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში ხალხის შემოქმედების შემდგომ განვითარებას მიუძღვნა თავისი სიტყვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფ. გარმაშოვმა. მან მოიყვანა მკაფიო ცნობები გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობის ზრდის შესახებ. მაგალითად, შარშან იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც წინადადებანი შემოიტანეს, და მათ წინადადებათა რაოდენობა დაედდა ორჯერ და მეტად 1954 წელთან შედარებით. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით ამ ხნის განმავლობაში დაზოგილია 28 მილიარდ მანეთზე მეტი.

ჩვენ, ციმბრელები, ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები, გაგაცხადა ანგარაზე ენერგეტიკის გიგანტის მშენებლობის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. შაგინმა, იმით ვამაყობთ, რომ წილად გვხვდა დიდი პატივი ვიყოთ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ორატორი ლაპარაკობს ჰიდრომშენებელთა თავდადებულ შრომაზე, რომლებიც ჩაებნენ შეჯიბრებაში შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

თავმჯდომარე იუწყება, რომ ყრილობის სახელზე მოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, მოსკოვისა და გორკის ავტომობილმშენებლების, დონბასის, კუზბასის, ყარაგანდის ქვანახშირის მუშაკების, როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ მუშების, სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი 6“ პოლარელების, მეოთხე საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეებისა და ბევრი სხვა კოლექტივების მისალმებანი და პატაკები. შეკრებილთა სახელით იგი მადლობას უცხადებს მოლოდინისა და პატაკის ყველა გამომგზავნს.

ყირიმის დელეგატებს მხურვალე სალამს გადასცემს ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების გამგეობის მეორე თავმჯდომარე ამხ. ვ. რანტანენი. ჩვენი ქვეყნების მთავრობებს, პროფკავშირებსა და ხალხებს შორის, თქვა მან, არსებობს კეთილმეზობლური მეგობრული ურთიერთობა. საჭიროა ეს განვავითაროთ ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ. ფინეთის პროფკავშირთა წევრები გულწრფელი სიხარულით უსურვებენ წარმატებას სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობას, რაკი იციან, რომ ყრილობა ხელს შეუწყობს თქვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას.

ტრიბუნაზეა კუბის წარმომადგენელი — ტრანსპორტის, ნავსადგურებისა და თევზის სარეწის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი ამხ. რაფაელ ავილა. იგი ლაპარაკობს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის უდიდეს როლზე, რომელმაც დახმარება გაუწია კუბის მშრომელებსა და მთელ ხალხს რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ი. გრიგოროვმა თავის სიტყვაში ილაპარაკა წარმოებასთან სკოლისა და მეცნიერების კავშირის განმტკიცებისა და მშვიდობისათვის ინტელიგენციის ბრძოლის საკითხებზე.

დიდი კმაყოფილებით შემიძლია მოვახსენო ყრილობას, თქვა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ს. ვ. კურაშოვმა, რომ ობიექტური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სისტემატურად უმჯობესდება. შემცირდა მოსახლეობის საერთო და ინფექციური დაავადება. წლითიწლობით მცირდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ინვალიდი გახდნენ დაავადებებთან დაკავშირებით.

მინისტრმა განაცხადა, რომ 1959-1965 წლებში ჩვენი ქვეყნის სამედიცინო ინსტიტუტები გამოუშვებენ დაახლოებით 140 ათას ექიმს. საშუალოდ თვითეულ 450-460, ხოლო ქალაქებში 280 მცხოვრებზე მოვა ერთი ექიმი. ყოველ დიდ საწარმოს ექნება თავისი პოლიკლინიკა.

პროფკავშირთა XI და XII ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი აღინიშნება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის და საწარმოო პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, განაცხადა როსტოვის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ნენროვმა. მარტო როსტოვის ოლქში შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილია 135 ათასზე მეტი კაცი. უკანასკნელ თრმეტ წელიწადში აქ 110 მილიონზე მანეთი დაიხარჯა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაზე, ხოლო მარტო შარშან გაიცა 1.150 მილიონ მანეთზე მეტი პენსიები. მნიშვნელოვნად ამაღლდა ოლქში პროფკავშირული მუშაობის დონე.

კამათში მოხსენებათა გამო მონაწილეობა მიიღო 43 დელეგატმა. ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას კამათის შეწყვეტის შესახებ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

შემდეგ ერთსულოვნად იღებენ რეზოლუციას ამხ. გრიშინის მოხსენების გამო საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობისა და პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობას საანგარიშო პერიოდში ყრილობა იწონებს. ამტკიცებენ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებას.

საღამოს სხდომაზე ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ამხ. ი. ა. გურიევს.

პროფკავშირთა ცხოვრებაში ამ უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები მოხდა. პროფკავშირებმა განახორციელეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა. ამასთან დაკავშირებით, თქვა მომხსენებელმა, საჭირო გახდა სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდებაში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომლებიც წარმოდგენილია ყრილობის განსახილველად.

გათვალისწინებულია არსებითი ცვლილებების შეტანა წესდების შესავალ ნაწილში. დიდმნიშვნელოვანია დამატება იმის შესახებ, რომ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში საბჭოთა პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება, პროფკავშირები სულ უფრო ფართოდ ებმებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში.

გათვალისწინებულია ცვლილებათა შეტანა წესდების III და IV თავებში, რომლებიც განსაზღვრავენ პროფკავშირული ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებს. ამ ცვლილებათა მიზანია პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოები კიდევ უფრო მიუახლოონ პირველადს ორგანიზაციებს, მშრომელებს.

ახლებურად დაფორმულებულია პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამოცანები და ფუნქციები. იზრდება დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საგზაო, საუზო და რაიონული კომიტეტების როლი.

გათვალისწინებულია ზოგიერთი ცვლილების შეტანა წესდების პირველ მუხლში, რომელშიც უნდა ჩაიწეროს, რომ პროფესიული კავშირის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მუშა და მოსამსახურე, რომელიც მუშაობს საწარმოში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, სარემონტო-ტექნიკურ სადგურში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში, აგრეთვე უმაღლესი, საშუალო სპეციალური ან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სხვა სასწავლებლის ყოველი მოსწავლე.

ახლებურად დაფორმულებულია აგრეთვე წესდების მუხლები, რომლებიც შეეხება პროფკავშირის წევრთა უფლებამოვალეობებს.

მოხსენების დასკვნის ნაწილში ამხ. გურიევმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდება მასში შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით ხელს შეუწყობს საბჭოთა პროფკავშირების როლის შემდგომ გადიდებას, მუშათა და მოსამსახურეთა აქტივობის განვითარებას.

ამხ. გურიევის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საავიაციო და თავდაცვის მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ს. პიგარევმა, ჩელიაბინსკის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. მ. სამოხვალოვმა, იტალიის მეტალურგიული ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ვ. დეგტიარევმა, მოსკოვის მეორე საათის ქარხნის კონტროლიორმა ამხ. ლ. მ. კუზმინამ, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ეკონომიკურ საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. ვ. სტეპანოვმა, ტულის საიარაღო ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ლარინმა.

მათ ილაპარაკეს, რომ პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ სსრ კავშირის პროფკავშირთა წინაშე დასახა ახალი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ მასების აქტივობისა და თვითმოქმედების ყოველმხრივ განვითარებას, მათ ფართოდ ჩაბმას სახელმწიფოს საქმეების მართვაში. ყველა ორატორმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წესდებაში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პროექტი ასახავს ცვლილებებს, რაც პროფკავშირების საქმიანობაში მოხდა განვლილ პერიოდში, განამტკიცებს შინაგანი ცხოვრების წესებს, პროფკავშირების, როგორც მრთვის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის საქმიანობის ორგანიზაციულ საფუძვლებს.

შემდეგ ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ უცხოეთის პროფკავშირთა დელეგაციების ხელმძღვანელები.

27 მარტს პროფკავშირთა ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).



სურათზე: ინდოეთის პროფცენტრის „პინდ მაზდურ საბჰას“ თავმჯდომარის მოადგილე დევინ სენი და ცეილონის მუშათა დემოკრატიული კონგრესის თავმჯდომარე მუტიახ პალანიანდი ვირიახი ესაუბრებიან ყრილობის დელეგატ ქალებს, წარგზავნილებს თურქმენეთის პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან.

ფოტო ე. ევზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თესვის ქრონიკა

ამბები საკოლმეურნეო მინდვრებიდან

პირველი ათეული ჰექტარები

ყვარელი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). დათბა, გაზაფხული ძალაში შევიდა. მოწინავე კოლმეურნეობების მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა. ტრაქტორისტი კ. ხუროშვილი შვრიას თესავს სოფელ შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში და ყოველდღიურ ნორმას 120-150 პროცენტით ასრულებს.

ერთი წუთით არ წყდება შრომა სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ უკვე დათესეს 25 ჰექტარი მზესუმზირა და 30 ჰექტარი შვრია, რითაც დავალება ვადაზე 10 დღით ადრე გაანადღეს. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დაითესა პირველი ათეული ჰექტარი მზესუმზირა და შვრია.

მდინარე ფრონეს ნაპირებზე

ზნაური. (საკ. კორ.). მდინარე ფრონეს გაყოლებით მდებარეობს სოფელ ნულის კოლმეურნეობა; ერთ მხარეს მეცხოველეობის ფერმებია. აქედან ნულელი კოლმეურნეები გაცხოველებით ეზიდებიან ნაკელს სასიმინდე ნაკვეთებსა და ბაღ-ვენახებში. ურემი ურემს მისდევს და თოვლით დაფარული მინდორი თანდათან ჭრელდება. იქვე ახლოს ვენახებში კოლმეურნეები ამზადებენ ბოძებს, ასუფთავებენ ვაზის შტამბს.

მდინარის მარჯვე მხარეს ახლადნაგებ შენობასთან კოლმეურნე ქალები თესლის გაწმენდაზე მუშაობენ. მათ გვერდით სახელოსნოში კი რემონტს უკეთებენ გუთნებს, ურმებს, ფარცხებს.

მზესუმზირას თესვა

წითელწყაროო. (ტელეფონით). სოფელ საბათლოს კოლმეურნეობაში დაიწყო მზესუმზირას თესვა. პირველ დღეს ტრაქტორისტებმა ა. მოსიანმა და ვ. ასრიანმა მზესუმზირა 20 ჰექტარზე დათესეს.

ჭიანურდება ტრაქტორების შეკეთება

სოფელ ხიზაბავრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მიქელაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ფ. მაზმიშვილი) დროულად უზრუნველყო ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება. საგაზაფხულო კულტურებს თითქმის მთლიანად მზრალად ხნულზე დათესავენ. ხიზაბავრელები ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რომ უზრუნველყონ პროდუქტების სიუხვე.

მაგრამ ყველგან ასე როდია.

სოფელ ხერთვისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. დავლაშერიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ბუჩუკური) შარშან დაარღვიეს თესვის ვადები, ცუდად მოუარეს ნათესებს. ამის შედეგად ჰექტარზე მხოლოდ 3,6 ცენტნერი ქერი მიიღეს. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა აქედან საჭირო დასკვნებს გამოიტანდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კოლმეურნეობას მინდვრად არც ერთი ტონა მინერალური და ორგანული სასუქი არ გაუტანია, სანახევროდ აქვს შესრულებული მზრალად ხვნის დავალება. საჭიროა, 80 ცენტნერი ქერის თესლი, ხოლო დღემდე ერთი ცენტნერიც არ გააჩინიათ.

რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს იარაღ-მანქანების შეკეთება. იმის გამო, რომ სოფლების ოთისა და ორგორის კოლმეურნეობებმა ასპინძის სარემონტო-ტექნიკურ სადგურში დიდი დაგვიანებით მიიტანეს „დტ-54“ მარკის ტრაქტორები, მათი შეკეთება ჭიანურდება. სოფლების ჭობარეთისა და ძველის კოლმეურნეობებში ახლაც ღია ცის ქვეშ ყრია შეუკეთებელი გუთნები, საოშები და კულტივატორები.

ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთება ჩამორჩება ასპინძის სარემონტო-ტექნიკურ სადგურშიც (დირექტორი დ. ცაგარეიშვილი). კოლმეურნეობების 2 ტრაქტორის გარდა ჯერ კიდევ შეუკეთებელია სადგურის „ს-80“, „დტ-54“ და „კდ-35“ სამი ტრაქტორი.

ცალკეულ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესლის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. სოფელ იდუმალის კოლმეურნეობას აკლია 80 ცენტნერი გაზაფხულის ქერისა და 22 ცენტნერი კარტოფილის თესლი, ხოლო სოფლების ოთისა და ჭობარეთის კოლმეურნეობებს არც ერთი ცენტნერი კონდიციური კარტოფილის თესლი არა აქვთ.

მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა ხელიდან გაუშვეს ზამთრის ხელსაყრელი ამინდები და „სოფლმომარაგების“ ახალციხის საწყობიდან დღემდე არც ერთი ტონა მინერალური სასუქი არ გაუტანიათ.

ასპინძელმა მ შ რ ო მ ე ლ ებმა შვიდწლედის პირველ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ამ ვალდებულებათა შესრულების უტყუარი წინაპირობაა თესვისა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ ჩატარება. ეს აქედანვე უნდა გაითვალისწინონ პარტიის ასპინძის რაიონული კომიტეტისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

რედიდის მონაწილენი: პ. ბერაძე, ასპინძის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი აგრონომი, პ. კაშია, ასპინძის ჩტსის მთავარი ინჟინერი, ს. მაზიშვილი, რაიაღრიცხვის ინსპექტორი, ვ. ალელიშვილი, ასპინძის რაიონულ გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი, ჰ. ხვაშაძე „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კომუნისტური მშენებლობის თეორიული პრობლემები

კაპიტალიზმთან სოციალიზმის ეკონომიური შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა, მაჩვენებელია იმ მიჯნისა, როდესაც ჩვენი ქვეყანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უდიდეს გარდაქმნათა შედეგად, სოციალიზმის გამარჯვებას საფუძველზე შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობისათვის, არამედ კაპიტალისტურ სამყაროსთან სოციალიზმის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების საქმეშიც. ეკონომიკა მთავარი ასპარეზია, სადაც გაშლილია მშვიდობიანი შეჯიბრება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. საბჭოთა ხალხი სისტემატურად დაინტერესებულია პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში მოიბოდოს გამარჯვება ამ შეჯიბრებაში.

ამჟამად სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში და მეორე — მსოფლიოში. მრეწველობის საერთო პროდუქცია 1958 წელს 36-ჯერ გაიზარდა 1913 წელთან შედარებით. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა 89-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციისა — 240-ჯერ. მაგრამ მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, წარმოების მიღწეული დონე საკმარისი არ არის სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, კომუნიზმის პრინციპის — „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“ — განხორციელებისათვის. ამისათვის საჭიროა სახალხო მეურნეობის შემდგომი გიგანტური ზრდა.

1959 წლიდან დაიწყო გადამწყვეტი ფაზა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრებისა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ამ პერიოდში უნდა გადაწყდეს ერთ კიდევ ვ. ი. ლენინის მიერ დასმული ამოცანა — დაეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. 1959-1965 წლებში იმდენად უნდა განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი იქნას გადადგმული სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებაში, „შეჯიბრების ამ ეტაპზე, — აღნიშნულია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, — საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს ეკონომიურად გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. წარმოების დონე ამერიკის შეერთებულ შტატებში ის ზღვარია, რომლის მიღწევაც შეძლო კაპიტალიზმის ეკონომიკამ... გავუსწროთ ამერიკის შეერთებული შტატების დონეს — ეს იმას ნიშნავს, რომ ადვილად ვაჯობოთ კაპიტალიზმის უმაღლეს მაჩვენებლებს“.

1917-1958 წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირმა დიდი წარმატებები მოიპოვა ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის საქმეში. თუ 1913 წელს ჩვენი ქვეყანა 13-14-ჯერ ჩამორჩებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ, ეს განსხვავება თანდათანობით სულ უფრო მცირდებოდა და მცირდება. 1958 წელს ერთ სულ მოსახლეზე ჯაანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები წინ გვისწრებენ დაახლოებით 40 პროცენტით. ამ განსხვავების დაძლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპებს. შვიდწლიანი გეგმით დასახულია სამრეწველო პროდუქციის საშუალოწლიური მატება 8,6 პროცენტით ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის შესაძლებელი 2 პროცენტით ზრდის ნაცვლად, ე. ი. ჩვენი ზრდის ტემპები 4-ჯერ და უფრო მეტად მაღალი იქნება, კიდევ უფრო მეტად მაღალი ეწევა, ვიდრე კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში.

სოციალიზმმა არაერთხელ დაამტკიცა და მომავალშიც დამტკიცებს თავის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით წარმოების განვითარების ტემპებში. 40 წლის განმავლობაში (1918-1957) საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის ზრდის ტემპების საშუალო წლიური მატება შეადგენდა 10,1 პროცენტს, ხოლო ძმიმე მრეწველობაში უფრო მეტსაც — 11,5 პროცენტს. ამავე პერიოდში კაპიტალისტური სამყაროს განვითარებული ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მრეწველობის ზრდის ტემპები შესაბამისად შეადგენდა 3,2, 1,9, 3,2 პროცენტს. ეს ციფრები მეტყველებენ, რომ საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის საშუალო-წლიური ზრდის ტემპები 3-5-ჯერ აღემატებოდა ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ზრდის ტემპებს. ხოლო თუ ამ პერიოდს გამოვაკლებთ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ომობდა, იშუშებდა მსოფლიო და სამოქალაქო ომებით მიყენებულ ჭრილობებს, თუ ვიანგარიშებთ მხოლოდ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდს, მაშინ საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების საშუალო-წლიური ზრდის ტემპები ბევრად მეტი იქნება. მაგალითად, 1930-1940 წლებში იგი უდიდეა 16,5 პროცენტს (მსგავალ მრეწველობაში 18 პროცენტს), ხოლო ზემოაღნიშნულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეადგენდა შესაბამისად +1,2 პროცენტს, +2,1 პროცენტს, — 2,2 პროცენტს. ომისშემდგომი პერიოდის 11 წლის განმავლობაში, დაწყებული 1947 წლიდან, საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი შეადგენს 15,9 პროცენტს (მსგავალ მრეწველობაში 16,6 პროცენტს). აღნიშნული მაგალითები ნათლად მეტყველებენ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობაზე კაპიტალისტურთან შედარებით საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპებში.

ზრდის ტემპებში უპირატესობასთან ერთად საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს — ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყანას — წარმოების ზრდის აბსოლუტური მოცულობითაც მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. წარსულში ამერიკის შეერთებული შტატები, მიუხედავად წარმოების ზრდის ნელი ტემპისა, სპარბობდნენ ჩვენს ქვეყანას სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატების აბსოლუტური ოდენობით. უკანასკნელ რვა წელიწადში კი მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის (

ტექნიკის სახლი

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმს, ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ დიდ ინდუსტრიულ ცენტრს, ყოველწლიურად ემატება ახალი ფაბრიკა-ქარხნები და საამქროები. მრეწველობისა და მშენებლობის ზრდასთან ერთად ინტენსიურად იზრდება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა რიცხვი. ამიტომ მობრიფდა საკითხი ტექნიკის სახლის დაარსების შესახებ.

და აი ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, როდესაც აპარის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დაუღალავად იბრძვიან შვიდწლეულის დიადი პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ბათუმელმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა შესანიშნავი საზუქარი მიიღეს — ლენინის სახელობის მოედანზე გემთმშენებელთა ახალადაგებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე საწვიმო გითარებაში გაიხსნა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს ბათუმის საოლქო ტექნიკის სახლი. გახსნაზე თავი მოიყარეს ქალაქის ინჟინერ-ტექნიკოსებმა, წარმოების ნოვატორებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა. სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა დიდი სიხარული გამოთქვეს ძვირფასი საჩუქრისათვის და პირობა დადეს, რომ თავდადებულად იმრომეტენ შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე განაღდებისათვის. საოლქო სახლი უზრუნველყოფილია სალექციო დარბაზითა და კინოდარბაზით, აგრეთვე ოთახებით აექციური მუშაობისათვის.

* * *

სურათზე: ბათუმის საოლქო ტექნიკის სახლში.

ფოტო ა. ანასტასიევისა.

მშრომელთა საკეთილდღეოდ

ქალაქის მშენებლობანი

სამტრედია. (საკ. კორ.). ამ ბოლო წლებში შესამჩნევად იცვალა სახე ქალაქმა. მას ამშვენებს ახლადაგებული კულტურის სახლის ლამაზი შენობა, რომლის კეთილმოწყობა მაისში დამთავრდება. მისი დარბაზი 850 მაყურებელს დაიტევს. დაწყებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა, სულ რამდენიმე თვეში ქალაქს შეემატება ახალი საზამთრო კინოთეატრის შენობა. ამ დღეებში დაიწყება ბეტონის არხების გაყვანის სამუშაოები.

სახლი დაზოგილი მასალებისაგან

რუსთავი. (საკ. კორ.). შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ქალაქში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ შენდება მეტალურგთა ქალაქის მეორე ნაწილი. ამჟამად იგება 20 საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლისა და ინტერნატის შენობები, კინოთეატრი. ყველა ისინი წელს დამთავრდება.

როცა მშენებლები გაეცნენ ქუთაისელ მეავტომობილეთა მოწოდებას შვიდწლედის ფონდის შექმნის შესახებ, მათ გადაწყვიტეს დაწყებულ ობიექტებზე მასალების დაზოგვით დამატებით აეშენონ ერთი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამასთან რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად შვიდწლედის ფონდში შეიტანონ 200 ათასი მანეთი ეკონომია.

ბავშვთა საყვარელი ადგილი

ონი. (საკ. კორ.). ბავშვთა ბიბლიოთეკა ბავშვთა საყვარელი ადგილია. აქ ყოველდღიურად მრავალი ნორჩი მკითხველი მოდის. სისტემატურად იზრდება ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. მარტო შარშან შეძენილ იქნა 1.227 ცალი წიგნი, ამჟამად წიგნების საერთო რაოდენობამ 11.552 ცალს მიაღწია. ბიბლიოთეკის მკითხველი ბავშვები რეგულარულად უშვებენ კედლის გაზეთს, საინტერესო მუშაობას ეწევიან ლიტერატურისა და ბიბლიოთეკისმცოდნეობის წრეები. ბიბლიოთეკამ ერთი წლის მანძილზე შვიდჯერ გამართა ლიტერატურული დილა, ბავშვებს კოლექტიურად აჩვენეს კინოფილმები.

ახალი რესტორანი

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელს შესანიშნავი რესტორანი შეემატა. იგი მოთავსებულია სასტუმრო „ტყიბულის“ ოთხსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულზე. აქ პროდუქტების დამუშავება მექანიზებულია. რესტორანს აქვს სამი მძლავრი მაცივარი. ერთი დიდი დარბაზი უჭირავს კაფეს. მუშაობს საკონდიტრო საამქრო, რომელიც ყოველდღიურად დიდძალ ნამცხვარს ამზადებს. ამჟამად მიმდინარეობს საბანკეტო დარბაზის კეთილმოწყობა, ამონტაჟებენ აგრეთვე ლიფტს.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

მის ფხიზელ თვალს ვერ დაემალა...

ამას წინათ საღამოს თბილისის ოქტომბრის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსთან გ. გამყრელიძესთან თავი მოეყარათ სახალხო რაზმების წარმომადგენლებს. ამხ. გამყრელიძე ესაუბრა მათ იმ საპატიო ამოცანებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახეს დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახალხო-რაზმელები თავიანთი უბნებისაკენ გაემართნენ. აი პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშამ — სახალხორაზმელმა ს. მაისურაძემ შენიშნა, რომ ქუჩაში აყალმაყალი შეიქნა. მთვრალი მოქალაქე ჰირველულობდა. თხოვნით მიმართეს უცნობ მოქალაქეს, წესრიგს ნუ არღვევო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაშინ იგი მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

— თქვენი გვარი? — ჰკითხეს წესრიგის დამრღვევს.

— ლექავა, — იყო პასუხი.

— სახელი?

— დავით!

მთვრალი მალე გამოფხიზლდა. იგი დაარწმუნეს, რომ მისი საქციელი შეუფერებელი იყო, და კიდევაც დააჯარიმეს.

დამახასიათებელი ეპიზოდია: სახალხორაზმელმა საბჭოს ქუჩაზე შენიშნა გალეშილი მოქალაქე შალვა ანდრიას-ძე ვარსემაშვილი, რომელიც გამგელიებს ლანძღავდა და ემუქრებოდა. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

როგორც გამოირკვა, შ. ვარსემაშვილი გაქნილი ბოროტმოქმედია. იგი რამდენჯერმე ყოფილა პასუხისგებაში მიეცემული ქურდობისათვის. არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, იოლი შემოსავლის მაძიებელია. მან საბჭოს ქუჩაზე მდებარე საკოლმეურნეო ბაზარში მორიგი თაღლითობა ჩაიდინა: შეხვდა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფეკინდან ჩამოსულ კოლმეურნე ნ. ხვედელიძეს, გაუცინა, მოუალერსა. მელიასავით თვალქვეშ გაუგორდა.

— თუნუქი გინდა? მერე და აქამდე ვერ მოიხარი, შე დალოცვილო! მე გიშოვნი, ჩამოგიტან სოფელში, სახლსაც თვითონ დაგიხურავ!..

კოლმეურნეს თუნუქის საფასურად 4.500 მანეთი დასტყოფა, შემდეგ თვალსა და ხელს შუა გაქრა...

როგორც ყოველთვის ამჯერადაც ბოროტმოქმედი ვერ დაემალა სახალხორაზმელის ფხიზელ თვალს.

კ. სხვაველი.

მათ მადლობა დაიმსახურეს

პარტია და მთავრობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მილიციის ორგანოებთან ერთად ავალებს მშრომელებს. ყველა საბჭოთა ადამიანი ვალდებულია დაეხმაროს მილიციის ორგანოებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ეს მოვალეობა კარგად შეიგნეს თერჯოლის რაიონის მილიციის დამხმარე ბრიგადის წევრებმა შოთა აბულაძემ და პლატონ კლდიაშვილმა. შ. აბულაძემ შეიპყრო სოფელ ახალ თერჯოლაში მცხოვრები მაისურაძის ცხვრების ქურდი, ხოლო პ. კლდიაშვილმა სოფელ ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის დაფნის ფოთლის ქურდები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ საქმეში სიფხიზლის გამოჩენისათვის შ. აბულაძეს და პ. კლდიაშვილს გამოუცხადა მადლობა და მისცა ფულადი ჯილდო.

ვ. კუტალაძე,
ყაკშირგამბულობის თერჯოლის რაიკანტორის უფროსი.

დროული ღონისძიება

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანაში ფართოდ გავრცელდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ და განვახორციელეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის სხდომაზე შეიქმნით საქარხნო შტაბი 9 კაცის შემადგენლობით. შტაბის შემადგენლობაში არიან როგორც სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისე მუშები.

ამავე სხდომაზე მივიღეთ დადგენილება ნებაყოფლობით სახალხო რაზმები შევქმნათ ყველა საამქროში. იმ მიზნით, რომ ფართოდ გაგვეცნო მუშა-მოსამსახურეებისათვის პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილება, მეტალურგთა სასახლეში მოვიწვიეთ პროფკავშირული აქტივის კრება, რომელზეც მოხსენებით გამოგიდა მილიციის რუსთავის განყოფილების უფროსი ამხ. შ. კოდუა.

უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. მომავალში ამ მხრივ კვლავ მრავალი ღონისძიება განხორციელდება.

ო. ჭყონია,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

დიდმნიშვნელოვანი საქმე

საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცედ დაცვა თვითეული საბჭოთა მოქალაქის ღვიძილი საქმეა. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ბევრი მუშა და მოსამსახურე, რომლებიც ნებაყოფლობით სახალხო რაზმებში შევიდნენ, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ თბილისის ქუჩებში ყოველთვის სანიმუშო წესრიგი იყოს.

ზოგჯერ მიდიხართ ქუჩაში და ხედავთ — ესა თუ ის ახალგაზრდა არასასურველ საქციელს სჩადის. სამწუხაროდ, მას შენიშვნას არავინ აძლევს, რაც შეუწყნარებელია.

ჩვენ გარეშე მაყურებლები არ უნდა ვიყოთ. დავინახავთ თუ არა ხულიგნურ გამოხდომას, ულმობლად უნდა ვიბრძოლოთ მას. ამ საქმეში გადამწყვეტ სიტყვას ახლად შექმნილი სახალხო რაზმებიც იტყვიან.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებას სანიმუშო მტკიცე წესრიგის დამყარების შესახებ სულით და გულით მივესალმებით.

შ. ხიზანაშვილი,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს ოსტატი.

თბილისის მომავალი

რედაქციაში შემოსულ წერილებში მკითხველები გვწერენ, რომ მათ აინტერესებთ, როგორია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები შვიდწლედში. მკითხველთა ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გამოვაქვეყნებთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილი იქნება ჩვენი ქალაქების შვიდწლედზე. ქვემოთ ვათავსებთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. მელაძის წერილს „თბილისის მომავალი“.

ა. მელაძე,
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

თბილისმა — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქმა — უკანასკნელ წლებში ისე იცვალა სახე, რომ ველარც კი იცნობ. ყოველ ახალ წელს მოაქვს ახალი წარმატებანი მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მთავწმინდიდან რომ გადმოხედოს კაცმა ჩვენს ქალაქს, თვალნათლივ ნახავს ხარაჩოებში ჩასმულ ახალ უბნებს. ქალაქის ახალმა მზარდმა რაიონებმა სულ უფრო და უფრო შორს გადასწიეს მისი ყოფილი განაპირა უბნები.

ჩვენი ქალაქის კიდევ უფრო სწრაფ განვითარებაში აისახება გადაწყვეტილებები სკკპ ისტორიული XXI ყრილობისა, რომელიც მოახწევებს ჩვენი ქვეყნის შესვლას ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

1959-1965 წლებში მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით დასახულია საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას დაფინანსების ყველა წყაროდან მოხმარდეს სამ მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ 4,3-ჯერ მეტი, ვიდრე წინა 7 წლიწადში, აქედან კაპიტალურ მშენებლობას — 1 მილიარდ 841 ათასი მანეთი, ანუ სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსხვილი მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან ერთად ქალაქში აშენდება ადგილობრივი მრეწველობის 27 ახალი საწარმო, მათ შორის საშენი მასალების 10 საწარმო.

აშენდება აგრეთვე კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 5.000 ცალ პიანინოსა და როიალს გამოუშვებს, ავეჯის ფაბრიკა, ტყავგალანტერიის ნაკეთობათა ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურეველობის საწარმოთა საერთო პროდუქციის გამოშვება შვიდწლედის წლებში 80 პროცენტით გადიდდება და 1965 წელს 780 მილიონ მანეთს მიაღწევს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომდინარე წლიდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეკისრა ქალაქში მთელი საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემკვეთის როლი, 1959-1965 წლების განმავლობაში აღმასკომმა უნდა ააშენოს 1 მილიონ 200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში ააშენა ქალაქში ყველა სამინისტრომ და უწყებამ, მათ შორის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმაც. გარდა ამისა, ქალაქში საბინაო მშენებლობას აწარმოებენ სამინისტროები და უწყებები, სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი სახსრებით, აგრეთვე ინდივიდუალური მენაშენეები პირადი დანაზოგებითა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

1957 წლიდან უკვე ხორციელდება საბურთალოზე მიწის მასივის კომპლექსური განაშენიანება. ამ მასივზე განლაგდება შვიდი გამსხვილებული კვარტალი. თვითეულის ფართობი, სადაც აშენდება ოთხ-ხუთსართულიანი სახლები, 5-8 ჰექტარი იქნება. ამ ახალი რაიონის ორმოცი ათასი კაცი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ყველა სახეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით. თვითეულ კვარტალში გათვალისწინებულია აშენდეს ცალკე შენობები მაღაზიებისა და სასადილოებისათვის. სკოლების შენობები, სასპორტო მოედნებით, აიგება ცალკე ნაკვეთებზე საცხოვრებელ კვარტალებს შორის. გაშენდება 45 ჰექტარი პარკი დიდი წყალსატევით.

ამ მასივის პირველ კვარტალში უკვე აშენდა 8 მრავალსართულიანი სახლი 8 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ 18 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი. დაიწყება ამ მასივის მეორე კვარტალის განაშენიანება. მიმდინარე წელს აქ საცხოვრებლად გადაეცემა 4 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი. ამ მასივში, კომინტერნის ქუჩაზე, დაიწყება 520-ადგილიანი სკოლა-ინტერნატის მშენებლობა. წელს დამთავრდება ამ სკოლის საერთო საცხოვრებელი 1.300 კვადრატული მეტრი ფართობით. იქვე ახლოს, პავლოვის ქუჩაზე, საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე სასკოლო შენობა 880 მოსწავლის ადგილით. ახალი შენობების გასათბობად და ცხელი წყლით მოსამარაგებლად წელს აშენდება კვარტალის საქვაბე. კომინტერნის ქუჩაზე, მე-3 ირიბ და მე-6 ირიბ ქუჩებზე გაყვანილი იქნება წყალსადენის 1,6 კილომეტრი სიგრძის ახალი ქსელი, მე-3 ირიბ ქუჩაზე 400 მეტრი სიგრძის საკანალიზაციო კოლექტორი. კომინტერნის ქუჩაზე მოასფალტდება 8.000 კვადრატული მეტრი სავალი ნაწილი და 4.000 კვადრატული მეტრი ტროტუარები. ამ მასივის სახლების ეზოებში მოასფალტებული იქნება 6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

მომდინარე შვიდწლედის დამლევისათვის საბურთალო ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი და ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილი იქნება.

კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის შვიდწლედის წლებში განზრახულია მარტო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით დაიხარჯოს 654,7 მილიონი მანეთი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში.

გათვალისწინებულია აშენდეს 2 სასტუმრო, რომლებშიც იქნება 900 ადგილი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ამჟამად ქალაქის ოთხივე დიდ სასტუმროშია.

მომდინარე წლის დამლევისათვის დამთავრდება ყარადადღ-თბილისის გაზსადენის მშენებლობა. უკვე წელს თბილისის საქალაქო აღმასკომს განზრახული აქვს ყარადაღის გაზი მიაწოდოს პირველ 10 ათას ბინას. არსებული თბოელექტროცენტრალის გაფართოება შესაძლებლობას მოგვცემს მომდინარე წლიდან დავიწყოთ ბევრი სახლის თბოფიკაცია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში.

უახლოეს წლებში გადაჭრით გაუმჯობესდება ქალაქის მომარაგება სასმელი წყლით. დასახულია დამთავრდეს საგურამოს წყალსადენისა და სამგორის წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობის, აგრეთვე ბულაჩაურის წყალსადენის დებიტის გათანაბრების სამუშაოები. 1965 წელს ქალაქი მიიღებს 156 მილიონ კუბურ მეტრ წყალს, ანუ თითქმის ერთნახევარჯერ მეტს, ვიდრე 1958 წელს. მომდინარე შვიდ წელიწადში დაიწყება თრიალეთ-თბილისის ახალი წყალსადენის მშენებლობა ხრამის ხეობის წყაროების ბაზაზე. ამ წყალსადენის სიმძლავრე წამში 5.000 ლიტრი იქნება. ეს წყალსადენი ქალაქს მიაწვდის მეტ წყალს, ვიდრე ამჟამად იძლევა ყველა წყალსადენი ერთად. ქალაქში გაყვანილი იქნება წყალსადენის 160 კილომეტრი ახალი ქსელი, ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე განვლილ შვიდ წელიწადში.

დიდი სახსრები მოხმარდება საკანალიზაციო და ღვარსაშვები მეურნეობის განვითარებას. აშენდება 33 კილომეტრზე მეტი სიგრძის 19 ღვარსაშვები.

ტროლეიბუსის ახალი ხაზები გაივლის ლენინა და ტბის ქუჩებზე, ორთაჭალიდან სოღანლუღლისაკენ, ახალ მაგისტრალზე, რომელიც ვაკეს საბურთალოსთან აერთებს. ტრამვაის ახალი ხაზები იქნება გაყვანილი შაუმიანის ქუჩის გაგრძელებაზე, ავჭალის გზატაცილზე საგურ ავჭალამდე და სხვა ქუჩებზე. ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის შესავსებად შეძენილი იქნება 88 ტრამვაის ვაგონი, 180 ტროლეიბუსი, 390 ავტობუსი და 1.400 ტაქსი.

განზრახულია დიდი სამუშაოები საგზაო მშენებლობის დარგში. შვიდწლედის დამლევისათვის ნავარაუდევია გადაწყდეს ის ამოცანა, რომ ქალაქში არ იყოს არც ერთი ისეთი ქუჩა, რომელსაც მაგარი საფარი არ ექნება.

კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება ქალაქის გამწვანების სამუშაოები. გაშენდება ახალი პარკები, განხორციელდება არსებული პარკებისა და ბაღების კეთილმოწყობა. ძირითადად დამთავრდება ქალაქის გარშემო მოთხ ფერდობების გატყიანება.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სასკოლო ქსელის, სბავშვო ბაღებისა და სბავშვო ბაგების, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა, ფიზიკულტურისა და სპორტის ნაგებობათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მნიშვნელოვანი ზრდა.

რესპუბლიკური მიუჯვეტის ხარჯზე ქალაქში აშენდება 2.500-ადგილიანი პანორამული კინოთეატრის შენობა, საქართველოს ფილარმონიის 1.500-ადგილიანი საკონცერტო დარბაზი, იმავე შენობაში იქნება 800-ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრის ცალკე დარბაზი, აშენდება აგრეთვე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი დიდი კომპლექსი, ცენტრალური უნივერმაღი 300 სამუშაო ადგილით, ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო, სანეპიდსადგური. ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ აიგება 300-საწოლიანი საავადმყოფო.

ყველაფერი, რაც ახლა ქალაქში შვიდწლიანი გეგმით კეთდება, ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება. ქალაქის მოსახლეობა სულ მალე იგრძნობს იმ ქმედით ღონისძიებათა კეთილმყოფელ შედეგებს, რაც განხორციელდება საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა პასუხად.

რესპუბლიკის დედაქალაქი დიადი მომავლის გზაზეა.

თბილისი. გმირთა მოედანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეგობრობის ნათელი ფურცლები

წარსულიდან

ქვეყანას, რომელსაც ერთ დროს აშშვენებდა კოლხეთის, გელათის, გრემის და თბილისის აკადემიები, საუკუნეთა მანძილზე გადატანილ მძიმე დარბეგნთა შედეგად XIX საუკუნის დამდეგისათვის აღარ გააჩნდა საკუთარი უმაღლესი განათლების კერა; სწავლა-განათლებას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა იძულებული იყო უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს ფარგლებს გარეთ წასულიყო. განსაკუთრებით ბევრი ქართველი სწავლობდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მოსკოვის უნივერსიტეტი.

ამ წერილით გვინდა მოკლედ შევეხოთ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა პირველ თაობას. მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით გვინდა შევაჩეროთ, მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორის, გამოჩენილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ილია იაგორის-ძე გრუზინოვის ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

საერთოდ მოსკოვის უნივერსიტეტთან მრავალი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სახელია დაკავშირებული. იმ პირთა შორის, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ და საქმით გამოეხმაურნენ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებას და შემდეგაც დახმარებას უწევდნენ მას. მოხსენიებულია ვახტანგ VI-ის შვილი გიორგი ბაგრატიონი — გრუზინსკი (1712-1788). მას უნივერსიტეტისათვის ათი ათასი მანეთი შეუწირავს. უნივერსიტეტის მთელ კოლეგიტას ბაგრატიონისათვის საჯარო მადლობა გამოუცხადებია და მემორიალურ დაფაზე უნივერსიტეტის დამმაარსებელთა გვარების გვერდით გიორგი ვახტანგის-ძეც მოუხსენიებიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების ეს შესანიშნავი ტრადიცია — უმაღლესი განათლების საქმისათვის მოწინავე ადამიანების, მიერ სახსრების გაღება, შემდეგაც გრძელდებოდა. 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტიც ხომ ქართველ მოღვაწეთა მიერ გაღებულ შეწირულობათა საფუძველზე დაარსდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების პირველ დღეებშივე იქ ჩაირიცხა ორი ქართველი—ლევან და დავით ბაგრატიონები. ისინი ვახტანგ VI-ის მემკვიდრის ბაქარის შვილები იყვნენ.

1762-67 წლებში მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტებიდან აღსანიშნავი არიან ფრანგული გრამატიკის კლასის სტუდენტი სიმონ სოლოლოაშვილი და არითმეტიკის კლასის სტუდენტი ლევან სოლოლაშვილი. იმავე ხანებში მოსკოვში სწავლობდა მარიამ ლეონტის ასული ბაგრატიონი.

XVIII საუკუნეში ქართველები არა მარტო უმაღლეს განათლებას იღებდნენ მოსკოვის უნივერსიტეტში. არამედ იქ სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა რიგებში ჩადგა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი. მათ შორის აღსანიშნავია ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ზანდუკელი (1768-1832), რომელიც მოსკოვში მოღვაწე ცნობილი მსახიობი სილა ზანდუკელ-სადუნოვის ძმა იყო.

ნიკოლოზ ზანდუკელმა წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და შემდეგშიც აქვე მუშაობდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრის გამგედ.

ნ. ზანდუკელი ფართო განათლების ადამიანი იყო. იგი კარგად ფლობდა უცხო ენებს. 1793 წელს მან პირველმა თარგმნა რუსულ ენაზე შილერის „ყაჩაღები“, რომელიც შემდეგ მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრებში იდგმებოდა. ნ. ზანდუკელი წლების მანძილზე ასრულებდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის პროორექტორის მოვალეობას.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერთა შორის მოხსენიებულია აგრეთვე სვიმონ გრუზინსკი, რომელმაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო 1822 წელს.

განსაკუთრებით დიდია ქართველი მეცნიერის ილია იაგორის-ძე გრუზინოვის როლი მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ისტორიაში.

ი. გრუზინოვი დაიბადა 1781 წელს სოფლის მღვდლის ოჯახში. მშობლები მას სასულიერო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ და უმაღლესი განათლების მისაღებად სასულიერო აკადემიაში შეიყვანეს. მაგრამ იგი თავიდანვე გატაცებული იყო საბუნებისმეტყველო და სამედიცინო საკითხებით. მან მიატოვა სასულიერო აკადემია და მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა (1798 წ.). სტუდენტობის პერიოდიდან იგი ბევრს მუშაობდა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში. აქ მისი ხელმძღვანელები და მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ანატომი პროფესორი ზაგორსკი და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე ი. ფ. ვენსოვიჩი. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ი. გრუზინოვი ცოდნის გაღრმავების მიზნით 1801 წელს მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში განაგრძობს მეცადინეობას.

1804 წელს ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „გალვანიზმი და მისი გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში“. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა ნაყოფიერი მუშაობი მიიპყრო რუსეთის სამედიცინო საზოგადოებრიობის ყურადღება. 1805 წელს ი. გრუზინოვი სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაში დახელოვნების მიზნით სახელმწიფო ხარჯზე გაიგზავნა დასავლეთ ევროპაში. გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის გამოჩენილ მეცნიერებთან მუშაობის პერიოდში ი. გრუზინოვი კიდევ უფრო დაეუფლა ანატომიას და განსაკუთრებით ანატომიური პრეპარატების დამზადების ხელოვნებას.

ი. გრუზინოვს, როგორც ნიჭიერ მეცნიერსა და მკვლევარს მალე გაუთქვამს სახელი კემბრიჯის, ედინბურგისა და გლასკოვის სამეცნიერო ცენტრებში.

ი. გრუზინოვს შესანიშნავად სცოდნია ინგლისური ენა. მას ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნის პერიოდში შეუდგენია ინგლისური გრამატიკის სახელმძღვანელო და დაუწყია „ინგლისურ-რუსული ლექსიკონის შედგენა.

1809 წ. ილია გრუზინოვი ბრუნდება მოსკოვში და მუშაობას იწყებს მოსკოვის უნივერსიტეტში, ანატომიის კათედრაზე უმცროს მეცნიერ მუშაკად, თავისი მასწავლებლის პროფესორ ზაგორსკის ხელმძღვანელობით კითხულობს ლექციებს ადამიანის ანატომიის საკითხებზე. ამ პერიოდიდან იგი ეწევა ფართო პედაგოგიურ-მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას.

მას ბევრი რამ გაუკეთებია მოსკოვის უნივერსიტეტის ანატომიური თეატრის მოწყობისათვის. მის მიერ გაკეთებული შრალი და ინბეკციირებული ანატომიური პრეპარატები მცოდნეთა აღტაცებას იწვევდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დამზადებული თვალის პრეპარატი.

1811 წლიდან ი. ი. გრუზინოვი არჩეულ იქნა ანატომიის კათედრის პროფესორად. ამავე დროს იგი დიდად დაინტერესებული იყო ფიზიოლოგიით.

1811 წლის 11 თებერვლიდან, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ვენსოვიჩის გარდაცვალების შემდეგ, იგი კითხულობდა ლექციებს ფიზიოლოგიასა და სასამართლო მედიცინაში. ის შესანიშნავი ექსპერიმენტატორი იყო, აწარმოებდა მეტად ორიგინალურ ცდებს ცხოველებზე. გრუზინოვი მჭიდრო კავშირში იყო კლინიკასთან. იგი აკვირდებოდა დაავადებათა მიმდინარეობას და ცდილობდა ფიზიოლოგიური და ანატომიური მონაცემები დაეკავშირებინა კლინიკურ მედიცინასთან.

ი. ი. გრუზინოვი ამავე დროს ნაყოფიერ საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწეოდა. იგი ხშირად კითხულობდა საჯარო ლექციებს, რომელსაც ესწრებოდნენ იმდროინდელი მოსკოვის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები. 1812 წლის სექტემბერში მოსკოვში მოწყობილა ოთხი საჯარო ლექცია, რომელთა შორის ცნობილი ისტორიკოსის პროფესორ სტეფანე შევირიოვის ცნობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტიმოკოვსკისა და გრუზინოვის ლექციები.

ი. გრუზინოვს, ისევე როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სხვა პროფესორებს, აქტიური მონაწილეობა მიუღია 1812 წლის სამამულო ომში. იგი მოსკოვის მოხალისეთა კორპუსის მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებდა. ბოროდინოს ბრძოლის დროს მოქმედ არმიაში იმყოფებოდა. მუშაობდა, როგორც ლაზარეთებში, ისე ბრძოლის ველზე. აქ მუშაობის პერიოდში

ყოველი მრეზდან

...როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 მილიონი უმუშევარია

დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული სამხედრო გეგმები

ლაოსელი ხალხის ინტერესების საზიანოდ

უატომო ზონის შექმნისათვის

ახლა საჭიროა მოქმედება

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიამ პრესისათვის გადასცა განცხადება, რომლითაც დაგმობილია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. განცხადებაში ნათქვამია: „მაშინ, როცა დიდი ბიზნესი ძარცვავს სახელმწიფო სალაროს, ხოლო მონოპოლისტები განაგრძობენ ფასების თვითნებურად გადიდებას, მათი აგენტები კონგრესში — რესპუბლიკელები და დემოკრატები — ერთმანეთს ეჯიბრებიან და ისწრაფვიან გამოიგონონ უფრო ცბიერი, უფრო ფარისევლური და უფრო ეფექტიანი კანონპროექტი, რათა ბორკილი დაადონ პროფკავშირებს... მთავრობა და კონგრესი არაფერს არ აყენებენ იმ დროს, როცა არის 5 მილიონი უმუშევარი“.

„სამხრეთის რასისტებმა და რეაქციონერმა რესპუბლიკელებმა, — ნათქვამია განცხადებაში, — ააღორძინეს „დამპალი მაკარტიზმი“, ხოლო „ლიბერალი“ კონგრესმენები უერთდებიან იმათ, ვინც ფუშავს კანონმდებლობას, რომლის მიზანია სკოლების, ბინებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყონ სახსრების გადიდება შეიარაღებისათვის“.

ეხება რა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგარეოპოლიტიკურ კურსს, განცხადება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი საქმიანობის შედეგად „ძლიერდება ომის ისტერია და ატომგულის საფრთხე, რამდენადაც ჩვენი მილიტარისტები და მონოპოლისტები ხელისუფლებას სათავეში სამხედრო დრაში კვლავ აყენებენ ყოფილ ნაცისტ გენერლებს გერმანიაში; იმიტომ რომ ჩვენი სახელმწიფო დეპარტამენტი გამსჭვალულია მისწრაფებით მოახდინოს გერმანიის რემილიტარიზაცია; და გერმანელ მილიტარისტებს მისცეს ატომგულის იარაღი, იგი აგრეთვე აღადგენს კრუპის მაგნატების ტრესტებს, რომლებმაც ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს ჰიტლერი. ვაშინგტონისა და ფოულ-სტერიის პოლიტიკა ბერლინის კრიზისის მიზეზია. ეს საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას“.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ეროვნული კომიტეტი ამერიკელ ხალხს მოუწოდებს გამოიტანოს გაკვეთილები საფრანგეთის ამბებიდან, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლიდან დამოუკიდებლობისა და ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის. „ამერიკელ მუშებსა და ყველა უბრალო ადამიანს შეუძლიათ ახალი ძალა შეიძინონ სოციალისტური ქვეყნების უდიდეს მიღწევათა გაგებიდან, სადაც არ არის უმუშევრობა და სადაც იქმნება უმაგალითო სიუხვე, სადაც მუშები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთ ბედს“.

განცხადების დასასრულ ნათქვამია: „ახლა საჭიროა მოქმედება. დიდი ბიზნესის, იმათი გაზრახვა, ვინც მდიდრდება უმუშევრობითა და რეაქციით, იმით და შეიარაღებით, საშიშია ყველა ამერიკელისათვის. ამხილეთ ეს განზრახვა, ბოლო მოუღეთ ამ საფრთხეს, იბრძოლეთ ამერიკის კეთილდღეობისა და პროგრესისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის“.

საიდუმლო დოკუმენტი

ბერლინი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტის შესახებ, რომელიც ახალი დამადასტურებელია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმს აგრესიული სამხედრო გეგმებისა. დოკუმენტის სათაურია „ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოება როგორც ომისა და ხელმძღვანელობის ახალი დარგი“. იგი შედგენილია 1959 წლის 4 მარტს და შეიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქციებს ბუნდესვერის ყველა დაწესებულებისადმი ფსიქოლოგიური ომის წარმოების შესახებ.

როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ადენაუერის მთავრობასა და გერმანელ მილიტარისტებს ეგრეთწოდებული ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოება მიაჩნიათ შეტად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ომისათვის მზადებაში, რასაც ისინი აზორციელებენ.

დოკუმენტით გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური ომის საშუალებებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებათა ჩაფუშვა, აგრეთვე „მშვიდობის გაწყვეტელი უქონლობის“ მდგომარეობის შენარჩუნება.

შესაბამისი ფსიქოლოგიური დამუშავების შედეგად დასავლეთ გერმანელი ჯარისკაცები უნდა გახიმსჭვალონ რევანშიზმის სულისკვეთებით და მზად იყვნენ ომის შენარჩუნებისა.

ფსიქოლოგიური ომის წარმოება გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმისათვის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა შეიჯიგინონ აზრს გერმანიის ტერიტორიაზე ატომური ომის შესაძლებლობის შესახებ და ჩაახშონ ამ ავანტიურისტული პოლიტიკისადმი წინააღმდეგობა.

ფსიქოლოგიური ომის წარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ადენაუერის მთავრობის საგანგებო კანონმდებლობა. დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ კანონები საგანგებო წესების შემოღების შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთა ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფას კი არ უნდა ემსახურებოდნენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სამოქალაქო მოსახლეობა და მთელი გერმანიის ცხოვრება დაუმორჩილონ სამხედრო მანქანის ინტერესებს.

„ნოიეს დოიჩლანდი“ მოჰყავს შემდეგი ამონაწერი დოკუმენტიდან: ომის წარმოება უკვე აღარ განისაზღვრება წმინდა სამხედრო საბრძოლო საშუალებებით და მიზნებით... მსოფლმხედველობათა ტოტალური შეჯახება იწვევს მშვიდობის განუწყვეტელ უქონლობას ჩვენს დროში: ბრძოლას ყველა საშუალებით და ცხოვრების ყველა დარგში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამგვარი განცხადებები სხვა არა არის რა, თუ არ ტოტალური ომის გამოცხადება ახალი ფორმით. ამ თეორიის საშუალებით სურთ გამამართლონ საზოგადოებრივი ცხოვრების მილიტარიზაცია და ატომური შეიარაღების განგრძობა, დაარწმუნონ ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა, თითქოს სრულიად შეუძლებელია ნორმალური და მშვიდობიანი ვითარების შექმნა მანამდე, სანამ არ იქნება ლიკვიდირებული წინააღმდეგობანი მსოფლმხედველობებში, ესე იგი სანამ არ მოისპობა სოციალიზმი.

დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია: თვითეული ცალკე ადამიანისათვის ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოება წინ უსწრებს ცხელ ომს, იგი თან ახლავს და ზურგს უმაგრებს მას, იგი თან სდევს მას იმისათვის, რომ განამტკიცოს წარმატებები. ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოებას შეუძლია „ცივი ომის“ სახით ზოგჯერ შეცვალოს კიდეც ცხელი ომი... საქმე ეხება იმას, რომ განვაიარაღოთ მოწინააღმდეგე...

ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს თეორიულ ანასტრაქტულ მსჯელობას. პირიქით, ეს მსჯელობა მჭიდროდ დაკავშირებულია ნატოსა და გერმანელი მილიტარისტებისა სტრატეგიულ გეგმებთან და უკვე გამოცდილ იქნა ნატოს მანევრების დროს.

კომუნიკე ნასერისა და შეჰბაბის შეხვედრის შესახებ

კაირო, 26 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვუუწყებოდით 25 მარტს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნასერი და ლიბანის პრეზიდენტი შეჰაბი ერთმანეთს შეხვდნენ სირია-ლიბანის საზღვარზე. ბეირუთში, დამასკოსა და კაიროში გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ორ პრეზიდენტს შორის გაიმართა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ, რათა განეხილათ სხვადასხვა საკითხი, რომლებიც უშუალოდ აინტერესებთ ლიბანსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, და ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრი არაბულ და საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე პრეზიდენტი, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, დაინტერესებულია ორ მეგობარ რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებით და ნაყოფიერი ურთიერთ თანამშრომლობის განვითარებით ყველა საკითხში, რომელიც ეხება მათი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და მთლიანობის განმტკიცებას არაბთა ქვეყნების ლიგის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფარგლებში.

ნასერი და შეჰაბი გადაჭრით უპირველეს მხარს არაბთა სოლიდარობის განმტკიცებას და გულწრფელად სურთ მიაღწიონ უმოკლეს ვადაში ის ეკონომიური საკითხების დადებითს გადაჭრას თანასწორობის საფუძველზე, რომლებიც მოუწესრიგებელია ორ ქვეყანას შორის.

ამ მიზნით ორივე პრეზიდენტმა, აღნიშნულია დასასრულ კომუნიკეში, დაავალა თავის მთავრობას განაგრძოს მეცადინეობა ორივე მთავრობას შორის მოლაპარაკების განახლების მიზნით.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმება

1959 წლის 24 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში სერმა პატრიკ რაილმა ერთმანეთს გაუგზავნეს ნოტები იმის შესახებ, რომ ძალაში შევიდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ლონდონში 1957 წლის 19 დეკემბერს.

აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 1959 წლის 24 მარტს.

ამერიკის დაზვერვა ინსტრუქციებს აძლევს ბრანდტს

ბერლინი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც დღეს გაზეთი „ბერლინერ ციტუნგი“ იუწყება, 1959 წლის 12 მარტს გაიმართა ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაციის სი-აი-ეის და ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა საიდუმლო საუბარი დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრ ვილი ბრანდტთან. ეს შეხვედრა, როგორც გაზეთი აღნიშნავს, მოხდა ამერიკის დაზვერვის თანამშრომელთა ინიციატივით ცოტა უფრო ადრე, ვიდრე მოეწყობოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომა ბონში, რომელზეც პარტიის თავმჯდომარემ ე. ოლენჰაუერმა გააკეთა მოხსენება ნ. ს. ხრუშჩოვთან თავისი საუბრის შესახებ.

შეხვედრაზე ბრანდტს გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოთხოვნა — კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, დაუჭიროს მხარი ამერიკის კონცეფციას გერმანიის საკითხზე და განაგრძოს დასავლეთ ბერლინის მიმართ „ფრონტის ქალაქის“ პოლიტიკა. იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს ბერლინის საკითხზე საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების დადებით გავლენას საზოგადოებრიობის ფართო წრეებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინში, შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა „კრიზისული ნაწყვეტების შენარჩუნება მოსახლეობაში.

გაზეთი შემდეგ წერს, რომ ამერიკის დაზვერვის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად საჭიროა ყოველ ვითარებაში გამორიცხულ იქნეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რაიმე ზემოქმედება ადენაუერის მთავრობაზე. ამიტომ ბრანდტს დაევალა ამოცანა გამოვიდეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის „შენელების“ ტენდენციების წინააღმდეგ. მას განუცხადეს, რომ საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს თავიდან აიცილოს საზოგადოებრიობის ყოველი ზემოქმედება დასავლეთის დაუთმობელ პოზიციაზე.

ამ მითითებათა თანახმად წერს გაზეთი, ბრანდტმა დემონსტრაციულად დატოვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური გამგეობის სხდომა 12 მარტს ოლენჰაუერის მოხსენების წინ. ამავე დღეს ვიწრო წრეში მან განაცხადა, რომ გამოიყენებს მთელ თავის გავლენას, რომ ოლენჰაუერის პოლიტიკამ „ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენოს“ დასავლეთ ბერლინს.

პირველობა ფიგურულ ციგურაობაში

მოსკოვი. 23 მარტს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფიგურულ ციგურაობაში.

ყინულზე სოლო ციკვების შესრულებაში პირველი ადგილი მოიპოვა ლიუდმილა გრაჩოვამ („დინამო“, მოსკოვი).

სურათზე: ლიუდმილა გრაჩოვა ასრულებს უნგრულ ციკვას.

ფოტო ლ. დორენსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კაღათბურთი

თბილისელები საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან

გუშინდელი ასპარეზობა, რომელიც თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა მოსკოვის „სერპ ი მოლოტისა“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის, მძაფრი და საინტერესო იყო.

ბრძოლის დასაწყისი სტუდენტთა საარგებლოდ ბევრს არაფერს მეტყველებდა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს დათამაშეც მათ წაიყვანეს 2:0, 4:0, 4:1. რამდენიმე კონტრიერიშის შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა 5:5, ხოლო შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 32:21.

მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთ მომენტში მასპინძლებმა შეძლეს კიდევ უფრო დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს ქულათა დიდი განსხვავება. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 66:55.

ამრიგად, „ა“ კლასის. ქალთა გუნდებს შორის რიგისა და თბილისის გუნდებს მხოლოდ თითო დამარცხება აქვთ და პირველობის მთავარი პრეტენდენტები არიან.

* * *

26 მარტს რიგაში ადგილობრივი სკენ-ს ვაჟთა გუნდი შეხვდა კიევის სკიფ-ს და დამამარცხა პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ანგარიშით 73:61. თბილისის „დინამო“ კვლავ გათამაშების ლიდერია.

უცხოეთის ქრონიკა

◆ ჩინეთში დამთავრდა გადაღება სრულმეტრაჟიანი ფერადი ფართოეკრანიანი დოკუმენტალური კინოფილმისა „აღმოსავლეთის ქარი აზიაოკრეს ხდინარე იანძის ტალღებს“, რომელიც ეძღვნება მდინარე იანძის ნაპირებზე ჩინელი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას.

ეს არის ერთ-ერთი იმ ორი დოკუმენტალური კინოფილმიდან მდინარეების იანძისა და ვოლგის შესახებ, რომლებსაც ერთად უშვებენ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის რეჟისორები და ოპერატორები.

◆ 25 მარტს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი კაიროში დასრულდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონიდან, სადაც იგი იმყოფებოდა 22 თებერვლიდან.

◆ ძალადობა, თავდასხმა, ძარცვა და ჩხუბი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა დასავლეთ გერმანიის იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც განლაგებული არიან ამერიკის ჯარის ნაწილები. იდნის საagენტო იუწყება უწესობების ახალ შემთხვევებს, რასაც ამერიკელები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სჩადიან. იდარ-ობერშტეინში 21 მარტს ღამით ამერიკელ ჯარისკაცთა ჯგუფმა გაუთაბეტიერა ქალი.

მიუხედავად ამისა, ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ მძიმედ დაჭრა ტაქსის შოფერი მას შემდეგ, რაც მან ფული მოსთხოვა მგზავრობისათვის. ამერიკელმა ჯარისკაცმა, რომელიც ცდილობდა ქურდობა ჩაედინა აუგსბურგის ერთ-ერთ სასაუზმეში, მძიმე ჭრილობა მიაყენა სასაუზმის მფლობელს.

უკანასკნელ დროს ამერიკელმა ჯარისკაცებმა მოახდინეს რამდენიმე თავდასხმა მკვიდრ მცხოვრებლებზე ქალაქ ფიურტესა და ჰერცოგენაუ რახტში (ნიურნბერგის ახლოს).

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი

ჟენევა, 26 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვან დონგმა 4 მარტს ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის თავმჯდომარეებს გაუგზავნა ახალი წერილი, რომლითაც კვლავ აქცევს მათს ყურადღებას ლაოსში ჟენევის შეთანხმებათა დარღვევას, რაც გრძელდება. წერილში ნათქვამია, რომ ლაოსში გრძელდება ტერორისტული აქტები, რეპრესიები და დისკრიმინაცია წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა მიმართ. ამერიკელ იმპერიალისტებს ლაოსში შეჰყავთ სულ უფრო მეტი სამხედრო პერსონალი და შეაქვთ იარაღი. ლაოსის სამეფო არმია განაგრძობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის დარღვევას.

ამავე დროს ლაოსის პრემიერ-მინისტრმა ფუი სანანიკონემ გააკეთა განცხადება, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ჟენევის შეთანხმება ლაოსის შესახებ მთლიანად შესრულებულია და რომ მისი შესრულება არავითარი გზით არ არის დაკავშირებული ვიეტნამის შესახებ ზემოხსენებული შეთანხმების განხორციელებასთან, აგრეთვე აღნშნა, რომ ლაოსი აღარ ცნობს მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიას. ფუი სანანიკონემ განაცხადა, რომ ლაოსი არ დაეთანხმება არავითარი საერთაშორისო ორგანიზაციის არბიტრაჟს, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია წერილში, მიაჩნია, რომ მდგომარეობა ლაოსში და ფუი სანანიკონეს განცხადება სერიოზულად ეწინააღმდეგებიან ჟენევის თათბირს ლაოსის შესახებ და რომ ჟენევის შეთანხმებებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

ლაოსის ხელისუფალთა ზემოაღნიშნული მოქმედების მიზანია ძირი გამოუთხაროს ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმების შემდგომ გახსორცელებას, ხელი შეუშალოს ლაოსში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის საქმიანობას, მოამზადოს ნიადაგი ლაოსში შეერთებული შტატების უფრო ღრმად შეღწევისათვის, რათა ლაოსი გადააქციოს ამერიკის სამხედრო ბაზად და იგი სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში ჩაათრიოს.

ეს მოქმედება ეწინააღმდეგება ლაოსელი ხალხის ინტერესებს და ზიანს აყენებს მშვიდობას ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ხვდება რა ამერიკის გაძლიერებულ ჩაერევას ლაოსის საქმეებში და ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმების სერიოზულ დარღვევებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია დასასრულ წერილში, სთხოვს ჟენევის 1954 წლის თათბირის თავმჯდომარეებს მიიღონ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის საქმიანობის განახლება და ამით უზრუნველყოფილ იქნეს ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმების სრული განხორციელება და ხელი შეუწყოს ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის შენარჩუნებას.

მასობრივი დემონსტრაცია ოსლოში 1959 წლის 19 მარტს კოლსოსში (ევროპის ჩრდილოეთ ზონაში, ნატოს სარდლობის შტაბში) დასავლეთგერმანელი ოფიცრების ჩასვლისა და ნორვეგიის ტერიტორიაზე უცხოეთის ბაზების შექმნის წინააღმდეგ. დემონსტრანტება მიდიან ოსლოს მთავარ ქუჩაზე, სტორტინგის (ნორვეგიის პარლამენტის) შენობის წინ. პლაკატებზე, რომლებიც დემონსტრანტებს უჭირავთ, წარწერილია: „გერმანელი ოფიცრები კვლავ ნორვეგიის ტერიტორიაზე? არა!“, „სტორტინგის დეპუტატებო — შეასრულეთ ხალხის ნება!“, „არავითარი ახალი ვერმახტი ნორვეგიაში!“.

საკდესის ფოტოქრონიკა



ჯუსეინი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან იორდანიის მეფე ჰუსეინი და პრემიერ-მინისტრი სამირ რიფაი. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ისინი ჩამოვიდნენ, რათა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან გამართონ მოლაპარაკება „იორდანიის ეკონომიურ და სამხედრო პრობლემებზე და შუა აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის შესახებ“.

უმნიშვნელოვანესი წინადადება

რა არის რაპაცკის გეგმა

გასული წლის 14 თებერვალს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ რაპაცკიმ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩებს, აგრეთვე ბელგიის, დანიისა და კანადის საქმეთა რწმენებულებს გადასცა პოლონეთის თავრობის მემორანდუმი და ოფიცები ცენტრალურ ევროპაში უატომო ზონის შექმნის საკითხზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავრობის მემორანდუმს, რომელსაც ეწოდება „რაპაცკის გეგმა“ პოლონეთის მინისტრის სახელის მიხედვით, რომელმაც იგი პირველად წამოაყენა, მხედველობაში აქვს საერთაშორისო შეთანხმება ევროპის ცენტრალურ ნაწილში ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. ასეთ ზონაში შევიდოდა გერმანიის ორივე ნაწილი, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. ეს სახელმწიფოები იკისრებდნენ მოვალეობას არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიაზე არც საკუთარი, არც უცხოური ატომური იარაღის წარმოება, შენახვა და განლაგება. აკრძალული იქნებოდა აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოყენება ზონის ტერიტორიის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ევროპის ცენტრში უატომო ზონის შექმნის შესახებ წინადადებათა მომზადება ჯერ კიდევ 1956 წლიდან წარმოებდა. 1957 წლის 2 ოქტომბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე პირველად შეიტანა წინადადება ცენტრალურ ევროპაში ატომური შეიარაღებისაგან თავისუფალი ზონის შექმნის საკითხზე. ეს წინადადება პოლონეთის მთავრობამ 1957 წლის დეკემბერში გაიმეორა. ამჟამად ამ წინადადებებმა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობათა სრული მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

რაპაცკის გეგმას უშუალო დამოკიდებულება აქვს არა ძარტო თვით ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან. თუ ეს გეგმა იქნა მიღებული, ატომური იარაღის მქონე ყველა სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება პატივს სცემდეს უატომო ზონის სტატუსს და ამ ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორიას განიხილავდეს როგორც ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღის გამოყენების სფეროდან გამორიცხულს. ოთხ სახელმწიფოს (საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და სსრ კავშირს), რაპაცკის გეგმის თანახმად, ზონის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მყოფი თავისი ჯარები შეიარაღებული არ უნდა ჰყავდეს ატომგულის იარაღით, ზონის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე არ უნდა ჰქონდეს ატომგულის იარაღის მომსახურებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა და დანადგარები, მათ შორის რაკეტული ბატარიები. ატომგულის იარაღის მქონე სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ ეს იარაღი გამოყენებული არ იქნება ზონის ტერიტორიის და ამ ტერიტორიაზე არსებული რიმი ობიექტების წინააღმდეგ. უატომო ზონის შექმნის გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე საიმედო კონტროლის დაწესებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა უაღრესად დადებითად მოეკიდა უატომო ზონის შექმნის გეგმას, მიიჩნია იგი უკანასკნელ ხანს წამოყენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინადადებად. მისი განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და თანმიმდევრულ საერთაშორისო პოლიტიკის ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრას.

იმისათვის მზადყოფნა, რომ სათანადო ვალდებულებანი იკისროს, დიდი სახელმწიფოებიდან დღემდე გამოიჩინა მხოლოდ საბჭოთა კავშირმა, რომელიც თავისი ლენინური საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპ ე ბ ი ს ერთგულია.

საბჭოთა მთავრობას სხვა მთავრობათა განსახილველად არაერთხელ შეუტანია თავისი კონკრეტული წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებზე. ამ საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წინადადებას ელენტრალურ ევროპაში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის წინადადებებში აღნიშნულია, რომ ცენტრალურ ევროპაში ამჟამად ურთიერთისადმი დაპირდაპირებულია სახელმწიფოთა ორი დაჯგუფება და თავმოყრილია მშვიდობიანი ლოთისათვის არანორმალური რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და სხვადასხვა ტიპის შეიარაღებისა. უკვე მარტო ეს გარემოება ქმნის სერიოზულ საფრთხეს მშვიდობის საქმისათვის, და თვალი არ უნდა ავარიდოთ იმას, რომ ასეთი მდგომარეობის დროს, ბორიტი განზრახვით თუ შემთხვევით, შეიძლება იფეთქოს ახალი ომის ხანძარმა. დანგრევის ყველაზე თანამედროვე საშუალებების — ატომგულისა და რაკეტული იარაღის გამოყენებით.

რამდენადაც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობებსა უკვე განაცხადეს, რომ თანახმა არიან ძევიდნენ უატომო ზონაში, ასეთი ზონის შექმნა ახლა დამოკიდებულია მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობაზე.

დასავლეთ გერმანიის ხალხის წინაშე ორი გზაა: მშვიდობის გზა, მაშასადამე, გზა მოლაპარაკებისა ყველა სამშვიდობო წინადადებაზე, რომლებიც ეხება როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ისე მის მეზობლებს (და ასეთი სამშვიდობო წინადადება უეჭველად არის უატომო ზონის შექმნის პროექტი), ან გზა მილიტარიზმისა და რევანშისტული მოთხოვნებისა, რომლებიც ყოველთვის გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდებიან.

რაპაცკის გეგმის საქმიანი განხილვის მოწინააღმდეგენი ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ უატომო ზონის შექმნა თითქოს ხელსაყრელია მხოლოდ ერთი მხარისათვის — საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტში მისი მოკავშირეებისათვის. მაგრამ ძნელი არ არის ამ მოსაზრებათა უარყოფა ფაქტებით. იმ სახელმწიფოთა ტერიტორიის ოდენობა, რომლებიც უატომო ზონაში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მხრიდან შევლენ, ორჯერ და უფრო მეტად სჭარბობს ამ ზონის მეოთხე მონაწილის, ზონაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მხრიდან შემავალი დასავლეთ გერმანიის ტერიტორიის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მოსახლეობის რაოდენობაც მნიშვნელოვნად სჭარბობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებთა რაოდენობას.

მაგრამ, მიუხედავად ამ უცილობელი ფაქტებისა, მოიპოვებიან ისეთი მოღვაწეები, რომლებიც ამ საკითხზე გამოთქვამენ აზრს სრულიადაც არა მშვიდობის დაცვისა და ურთიერთ თანამშრომლობის ინტერესების მიხედვით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა ამას წინათ განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია უატომო ზონაში მოქცეულ იქნას... ევროპის სახალხო დემოკრატიის ყველა სახელმწიფო (?). საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა მიმართ ასეთი გულუსტვობა რომ გამოიჩინა, ამ დასავლეთგერმანელმა რევანშისტმა, ალბათ „თავმდაბლობის“ გამო, ზონის თავის „ვარიანტს“ არ დაუმატა ნატოს არც ერთი სახელმწიფო.

ცხადია, რომ ასეთი უპასუხისმგებელი ლაპარაკი ვერავითარ დადებითს როლს ვერ შეასრულებს ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში. უატომო ზონის შექმნის გეგმა გამოყენებულ არ უნდა იქნას ევროპის ამა თუ იმ დაჯგუფების გასაძლიერებლად ან შესასუსტებლად. მის ღირებულებას სწორედ ის შეადგენს, რომ იგი ემყარება ორმხრივი ხელსაყრელობის და მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას.

რაპაცკის გეგმის მოწინააღმდეგეები ასახელებენ ევროპის ცენტრში უატომო